


საღიბარბურო და სამეცნიერო, ნახაღვლინი ზაზისი. ზემოდან აომხელ კირა ღღეს.

№ 19

აპრილი 30 1895 წ.

№ 19

**ზინარსი:** სამეგრელოს ვითარება.—სხვა-და-სხვა ამბები.—ჩემი აღსარება, ლექსი რუს-იმერლისა —საერადღებო ამბები.—რუხის ბოძოლის გამო ი. მეუნარგისი.—მევედრების დამარხვა სხვა-და-სხვა ხალხსი ან. წ.—ლისა. ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან ა. გარსევანაშვილისა.—კრიტკის კრიტიკა ნ. ფორდანიასი.—სეჟონი ხელი, ე. ბარნოვისა.—შეცთომის გასწორება —განკვლევანი.



მუხამადი გვირგვინი: წინამძღოლის სასივლი.

### სამეგრელო

ავგარგინობა წერაკითხვის ქართულს ქნასე და ორი-ოდე სიტყვა მისდატასაუმჯობესებდათ.

**ფ**ამუხბარო წერაკითხვის მდგომარეობა სამეგრელოში, მისმა უკუღმართმა მიმართულე-ბამ და ჭეშმარიტი გზიდან გადახევა, იმუ-ლებული მყო ამ სიჩუმის დროს, ორიოდე სიტყვა მომხსენებინა ჩვენ პატივცემულ მკითხველთათვის, თუმცადა არა ერთხელ დაწერილა ვაჭეთის ფურც-ლებზე ამის შესახებ—თუ რა მდგომარეობაშია სამ-შობლო ენაზე წერაკითხვის გავრცელება სამეგრე-ლოში. რა არის მიზეზი მისი ცუდი მდგომარეო-ბისა და რა საშუალებანი უნდა ეიხმართო, რომ ცოტათი მიინ ვაუმჯობესდეს იგი სამეგრელოში? საზოგადოთ, სამეგრელო ბევრათ უკან ჩამორ-ჩენია სწელ-განათლებლაში სხვა საქართველოს ნა-წილებს, გარდა რაჭისა, სვანეთისა და სხ., სადაც ერთი მხრით კარგი გზების უკონლობა და მეორეთი—ბუნებითი მიუვალ-მიგარდნილი მდებარეობა წინ ეღობება წერაკითხვის და აღბ-მიცემობის საქმეებს.

სამეგრელო ამ სიძინულეს თითქმის მოკლებულია; აქ გზებიც კარგია, სოფლებსა და დაბა-ქალაქებში მისილა-მოსილა ადგილია. მიუხედავად იმისა, რომ სოფლებსაც იმიტომ შეზღუდებით, მაგრამ წერა-კითხვა ქართულ ენაზე, შედარებით სხვა დანარჩენი საქართველო კუთხეებში, აქამომდე ცუდს მდგომარეობაში ყოფილა, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი მაინც თანდათან ერთგულდებოდა სამეგრელოში. ხოლო ამ წლებში, როგორც მოგხსენებთ ჩვენს ასეთ თუ ისეთ ცხოვრების თვით-ყოლის მდევნელს, სამეგრელო სრულიად ჰკარგავს სამშობლო ენას. ეს ენა, რომელზედაც უწერა-წერასა-ჩაენით ათასი წლის წინათ მიგრებოდა ნინა-რუბებს, თავს უტყავს მას და ეთიამ ეუბნება: „მშვიდობით, გეხსოვება, დღეის იქით არ მინდა შენი სამსახური, შენ ჩემთვის უსარგებლო ხარ... მე ახალს ლიტერატურას ვიარსებ, ახალს ცხოვრებას ვიწყებ ახალი მიმართულებით, შენ შენთვის - და მე ჩემთვისო!..“ ეიშ! შენგდეთ, რა სიტყვებით ისტუმრებს ეს დღო-ცედი სამშობლო ენას, რა ნაირათ შორდება თავის მოძმე-ამხანაფს და რა ნაირათ უნდა იცეალოს რჯული წმინდა და ქეშმარიტი!.. არა, მკითხველო, ასე ფიქრობენ და სურთ მხოლოდ ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის „გეროსტრატებს“ და მის მიმდევართ, სხვა დანარჩენი მეგრელები, რომელნიც ამ საქმეს შეგებულთ უყურებენ, ძლიერ გულ-შემატკივრად ასეთ გარემოებასთვის, როგორც არის სამშობლო ენის დაკარგვა. ისინი „გულ-შემატკივრობენ!“ მაგრამ ეს გულ-შემატკივრობა კენეს-გოდება მართო არაფერს გვარგებს; ჩვენს უამისოთ დაბნეულს გაფუჭებულს საქმეს კეთილს გზაზე გვირ დააყენებს. აქ არის საქორა გობა და სატყვისა და „გეროსტრატის“ თანადინობა, მოქმედება საქმით, უღონო დაწვება და გავრძობა. მაგრამ, სამწუხაროთ, ასეთი საქმის დამწყებ-მოთავე მეგრულ-გზოში გერ-გერობით სრულიად არ არის; ან თუ არის, უნდა ითქვას, რომ ის გულ-ცივით ეკიდება ამ საქმეს, რაღაც სხვა თვალთი უყურებს, ეთიამ ბგერი აქ არაფერიცა. როგორ შეიძლება, რომ ჩვენი ენა დაეკარგოს, დაევიწყოს და სხვაზე დავიწყოს წერა-კითხვა და საუბარიცა. დრო უღვევლია. ჩვენი მომავალი ეცდება, იზრომებს და რაც დროს წაუხდენია, დროეე გაასწორებს. არა, ჩემო, ამნაირათ მსაჯველნო და ასეთი ფუქრებით კმაყოფილნო! ჩვენს მომავალს კიდევ სხვა უძვეს გზაზე გასაკეთებელი, კიდევ უშუალო მგტი შრომა აწევს მას თავზე, ან და მერე გვიან იქნება, გვიანაც და შეუძლებელიც, რადგან რჯულიცის გამოცედა და კვლავ მისი მიღება, რომლისამე ტომისთვის მგტის-მგტათ ძნელია.

ამ ნაირი მიმართულების შესახებ ცუდს შედეგს, სხვა ჩვენი მოძმე ქართველი ტომი უკეთ გრძნობს და

უფრო მარჯვეთ ეკიდება ამ საქმეს, რომ მას რაიმე მისაშველებელი წამალი მიაწოდოს. ავთომყოფობის-გან გამოიყვანოს და ნორმალურს მდგომარეობაზე დააყენოს, მაგრამ მასაც გერ-გერობით, არ ეცი, რის მიზეზით, ეს წამალი ნათლთ ეგრ გამოურ-კვეთა; ეგრ შეუშაზდება და დროზე ეგრ აშველებს; ის აკვიანებს, რისგამო ავთომყოფობა უფრო-და-უფრო ღრმით იღვამს ფსევებს. ხოლო ამჟამად, თუ სწეულ-ლობამ ღრმით ჩაველო ბრჭყალები თავის მსხვერპლს, მაშინ ყოველივე წამალი, მისდა სასარგებლოთ შემზადებულნი, ამო იქნება.

როგორც ზემოთა ვთქვი, ქართულს ენაზე წერა-კითხვის გავრცელების საქმე საზოგადოთ ცუდათ მიმდინარეობდა აქამომდე, მაგრამ ეს სენი არა მართო სამეგრელოს ჰქონია შეთვისებული, არამედ თითოულს საქართველოს კუთხეთაგანსაც; ხოლო ამ წლებში „გეროსტრატების“ წყალობით იგი სამეგრელოში უარეს დღეში ჩავარდა. ამ დრომდე იგი თანდათან ერთგულდებოდა სამეგრელოში. რამდენათაც დროთა ვითარება ნებას აძლევდა მას, ის თანდათან იზიდავდა მეგრელების გულს და ჰხდებოდა მათი სასიყვარულო საგოგამნო საუნათ. ქართული ენა აღსარებული იყო მათ სამშობლო ენათ, ან და რა აღსარება უნდოდა, როცა უბრალო მეგრულ გლეხ-კაცს რომ ჰსთობოდა რომელი არის შენი სამშობლო ენაო, იგი უსათუოთ გიპასულებთ, ქართული და არა სხვაო და მართლაც თითქმის ყველა უსწავლელ მეგრულს ესმის ქართულ ენაზე საუბარი, თუმცაღა თვითონ წმინდა ქართულს ეგრ ლაპარაკობს.

იგი ჰკარგავს თავის სამშობლო ენას, ჰკარგავს იმიტომ, რომ ქართულს წერა-კითხვის სამეგრელოში არაფერცა იყო არადება არა ამქს მიქცეული; სამეგრეოთ, რა გვინათ, მკითხველო? აქ ახალი „მეგრული ლიტერატურა“ სუფევს, ახალს პედაგოგიურს ნიდაგზე დამყარებული. საზოგადოთ ყველა აქაურ სამინისტრო სკოლებში ეთიამც „მეგრულს ანბანს“ და მანვე წერა-კითხვის გავრცელებას დიდა ყურადღება აქვს მიპყრობილი ყველაგან. ეს ახალი „გამომცხვარი“, ეთიამ „მეგრული ანბანი“ თითქმის იგივეა, რაც რუსული ანბანიცა, მხოლოდ ზოგიერთ მიმხულ-გამომხული კულები ასხეაფერებს მას - ის ახრენათ გადადის რუსულ ანბანიდან მეგრულზე და მეგრულიდან - რუსულზე დომხალიც ით ურებს ერთმანეთს, როგორც ანბანს, აგრეთვე სიტყვებს და ბოლოს გამოიღოს „რუსულ-მეგრული სიტყვა-წყობილება“, შემდეგ კი, უეჭველია, ამას კიდევ უფრო ცუდი შედეგი მოყვება!.....

ქვემოხსენებული უტყუარი მაგალითი ნათლათ დაარწმუნებს მკითხველს, თუ რა მდგომარე-

ომაშია წერა-კითხვა ქართულს ენაზე სამეგრელოში. ერთს (ჩემს მეზობელს) მეგრულ გლეხს სოფ. კ... წერილი მოუვიდა ვარქვე სოფლიდან, ჩასაკვირველია ქართულს ენაზე დაწერილი, გლეხმა მიუთითა თავის შვილებს წასაკითხავათ (ერთი მისი შვილი სამინისტრო შკოლაშია, ხოლო მეორე—ზ... სამოქალაქო სასწავლებელში); მაგრამ „ჩვენმა“ ახალგაზდა მეგირდებმა ყურებიც არ დაიბერტყეს; მათ როგორ შეეძლოთ წაკითხვა, როცა ქართული ანბანიც არ ესწავლათ. ბოლოს მე ვუშველე მათ..

მართალია, შეხედვით ზოგიერთ სოფლებში სამეგრელო შკოლებს, სადაც ქართულს კიდევ უღვია თავისი უკანასკნელი სული, მაგრამ ასეთი შკოლები, სამწუხაროთ, ძლიერ ნაკლებათ არის. მეგრელი თავის შვილს უმეტესად სამეგრელო შკოლაში აძლევს, თუ რომ ახლოა სასწავლებელი და ზოგიერთი, ძლიერ უყვიკ ამ საქმეში, სამინისტრო შკოლებსაც ეტანება, რადგან მისი ფიქრით, იქაური „რაზა“. „და“ უმეტესათ შევლის მათ შვილებს „სალოდათობის“ დროს, ვინემ სამეგრელო შკოლის „ერით“, „ორი“.

ამს გარდა, არ შემიძლია ორიოდ სიტყვა არ ეთქვა შესახებ ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნთ-საკაცისა და უფასო სამკითხველოს სამეგრელოში. სამთლით რომ იარო, მკითხველო, მთელს სამეგრელოში, ერთს წიგნთ-საკაცს, ან უფრო საჯარო სამკითხველოს ეერ ნახეთ, ან თქვენ რათ შევაწუხოთ სამეგრელოში სიარულით. მე, იქ, როგორც ძალიან ხშირათ მყოფი, ჰუმპირათ მოვახსენებთ, სრულიად არ არის. იმისთანა დაბა-ქალაქებს, როგორც არის ახალსენაკი, ზუგდიდი, ძველი სენაკი, ზობი, სამღებრო და სხ. ნუ თუ არ ჰქონდეს თითო მინც წიგნთ-საკაცი, ან სამკითხველო? საიდან უნდა შეეძლოს ჟურნალ-გაზეთთ დარჩენილს დაბალ ხალხს გაზეთის, ან სხვა რომელიმე ქართული წიგნის წაკითხვა; მაგრამ ამას ჩვენი მოძმე—დაბალი ხალხი სრულიად მოკლებულია; მან ქართული წერა-კითხვა საქმათ იცის. (აქ მე დაბა-ქალაქების მცხოვრები მკაცს მხედველობაში და არა სოფლის); მაგრამ ჟურნალ-გაზეთს სრულიად არ იცნობ, ან რათ

ესაქიროება, როცა ხედავს, რომ ისინი, რომელც განათლებით და მატერიალურ მდგომარეობითაც განწირვებით მალოა დგანან მაზე, არ იწუხებენ თავს ჟურნალ-გაზეთების გამოწერით და მათი კისხეთ... სოფლებში, ხომ დმერთმა დაიცეს! თუ ნახატებიან გაზეთს დახერა ქარმა და ჩაიტანა, მაშინ კიდევ კარგი, გადათვლიერება მინც ეღირსება მას, ხოლო თუ არა, ხმასაც არაიენ გაცემს.

უშველო, მკითხველს თვალწინ წარმოუდგებოდა მეგრელთა საზარელი სამწუხარო მდგომარეობა, თუ არ იყო მისი მცოდნე, და ამ დროს, თუ არ საქმით, სიტყვით მინც წამოიძახებს: „ოჰ, რა მდგომარეობაშია ჩვენი მოძმეო!“

იმედია, ყოველი ჩვენი მკითხველი, მიიღებს მხედველობაში ასეთს მეგრელთა მდგომარეობას და შეძლებისდაგვარათ მიეშველება თავის ტანჯულ მოძმეს, რომელიც ჰუმპირების გზას უხევეს, ისტორიულს არსებობას ჰკარავს და მის ცინაობას ძირი ეთარება. ყველაზე პირველი საქმე ახლო ყოველი ქართველთათვის, ცერძო პირთა და საზოგადო დაწესებულებათათვისაც—ის არის, რომ მიეშველოს ამ ხალხს. სახალხო წიგნების დარაგება სამეგრელოში დიდ სარგებლობას მოიტანს, ამასობაში წერა-კითხვის საზოგადოებამაც უნდა გამოიღვას თავი, მისი მოვალეობაა აქ ადგილობრივ გულ-შემმატკიერებ-საგან თავისი განყოფილება და წრეები ხალხში წერა-კითხვის გავრცელებას. როცა ხალხს გარემოების ძალით გამოუწინდება გზის ამრევი და გონების შემრკევი, მაშინ მეზობელმა უნდა მიაშველოს მას ხელი და სახლიკაცი დაუდგეს დარაჯათ, რომ არაწმინდა განზრახვანი მასთან არ მიუშვას.

ეიქონით დეიზათ „მეერთება არს ძალა“ და მისლ დასარგებლოთ, თუ აქამომღ არა, მომავლოში მინც ეიმოქმედოთ. ეცმაროთ ყოველი ლანისძიება, გეავტრელოთ ჯერ უბრალო წერა-კითხვა, საზოგადოთ ყოველგან, მაგრამ უმეტესათ სამეგრელოში, სადაც ქართულს ენას ბოლო ეღება. ეს უნდა იყოს ახლა ერთი უმთავრესი საგანი ჩვერის საერო პროგრესისა.

ტ. ად—ა

სხვა-და-სხვა ამბები

† 26 აპრილს, ქ. ქუთაისში მიწას მიაბარეს ახალგაზდა ნიჭიერი ყმაწვილი მიხეილ ხელთუფლი-შვილი, რომელიც ვახდა ჩრდილოეთის მკაცრი ჰაერის

მსხვერპლი. ამ ნიჭიერ ყმაწვილს არ დაეკად თავის საყვარელ სამშობლოსათვის ვმუშავნა. საუფუძლოანათ მომზადებულ ნიჭთან ერთათ მიხეილ ხელთუფლი-შვილს ეტყობოდა ავრთვე შრომის მოყვარეობა და ეს გარემოება იყო მისი თადეობი, რომ

ეცოცხლა, ბევრს სარგებლობას მოუტანდა თავის სამშობლოს.

\* \*

ორშაბათს ქალაქის საბჭომ კენჭის ყრით ამირჩია ქალაქის მოურავათ თავადი ნიკოლოზ ეასილის ძე არლუთაშვილი-დოლოგორუკოვი. ამორჩევის დროს იქ დამსწრე საზოგადოება დიდი აღტაცებით და ტაშისცემით მიეგება.

\* \*

„ნოვ. ობოზ.“ სიტყვით ფინანსთა სამინისტროში შედგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს კავკასია და ამიერ-კავკასიის რკინის გზების შეერთების შესახებ მოლაპარაკება.

\* \*

დღეშეთის სამაზრო საპატიმრო გადაქეთ სოფულავერში, რადგან პატიმართა რიცხვმა ამ საპატიმროში ძლიერ იკლო და შულავერში კი ძლიერ იმატა.

\* \*

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ვაღუწყვეტრა დაარსოს ქ. ახალციხეში სამკითხველო და წიგნთ-საცავი. ამავე „საზოგადოებას“ შეუტყრფეფა პოეტის ნ. ბარათაშვილის დაუსტამბავი წერილები და აპირებს მის გამოცემას.

\* \*

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი განუძრავხავთ გადააკეთონ ლენინის საკეთებელ სამ კლასიან სასწავლებლათ.

\* \*

დღეს ეკირას არის ჭიანჭველური საქალბო ინსტიტუტში კენჭის ყრა ორ სახელმწიფო ეკიან-სიაზე.

\* \*

დედათა შკოლის ღონდის სასარგებლოთ სუხუმში გამართული წარმოადგენიდან მიღებულია კნ. გაიანე შარვაშიძის მიერ ცხრა თუმანი. თანახმათ მიქელაძის ქვრივის ანდერძისა დედათა შკოლის კომიტეტის თავმჯდომარემ კნ. მ. ორბელიანისამ მიიღო ასი თუმანი.

## ჩემი ალსარება



არიბი ვარ, დედივარ  
ბევრჯელ ძველი ჩოხითა.  
პატროსნურათ ვრჩები,  
როგორც მუშა თოხითა.

მაგრამ ჩოხას არ ვაეცელი  
სხვაგვარ ტანთ საცმელშია,  
ტროსტსაც არ დავიკავებ  
სა შეენებლათ ხელშია.

ხან უინვა მკლავს, ხან სიცხე,  
ხან მშია, ხან მწყურია,  
ხან ლხინის სუფრას მიტკობს  
თარი და ჩონგურია!..

ხან მორთული დავდივარ,  
ნაბდით ჩაბალახითა.

ხან ძონძებში მყოფს, გული  
სავე მამქს ევლახითა!..

მაგრამ ჩემ ბედს არ ვწყველი  
მადლიერი ვარ მისი,  
რადგან წმინდა მარტუნა  
გული და სინიდისი!..

არ ვინატრი აროდეს  
სხვის ზიანს და ენებასა,  
შეუტეველათ ეასრულებ  
ათსავე წმინდა მცნებასა!..

გულში რაც მამქს, გამოეთქვამ  
არვის მოვეფერები;  
მას ეიმობ და ეეშობი,  
ვისაც შეეფერები.

ვერავინ მომიყიდის  
მოყვარე, ვერც მტერია;



რაც რამ წმინდა გულში მაქვს,  
შუბლზე ის მაწერია!..

გარედან უფერულოს  
შიგნით მიბრწყინავს გული  
და ყველას ერთგულება  
იქა მაქვს დანერგული!..

იქ არა აქვს ადგილი  
შურს და მტრობას სხვისასა,  
სიხარულით ვიტყვირთებ  
ჭირს ჩემი მოძმისასა...

სამშობლოსთვის ელაკულობ  
მარად წმინდის გულითა,  
იმის აღორძინებას  
ველი სიხარულითა!..

იქ, სადაც მცირე დროით  
ბუნებამ მოამიწვია,


სად გაღმოსილი დამხედ  
ვარდ-ზამთხის და ია,

დედის მსგავსათ გულ-მკერდში  
ჩამიკრა, ჩამიხვია,  
მომხიზლა სამუდამოთ,  
მიმინდა, მიმიჩვია,

ის მიყვარს. იმას ეცტრუფი  
მსურს იმას ენაცკალო!  
მაშინ ყველამ ჩამქოლეთ,  
როს ეს აზრი შევცელო...

ამას თამამათ ეამბობ,  
არც აქამდი ეფარადი,  
ამ წმინდა გრძნობით სასევ  
მივალ კუბოს კარამდი!!!

რუს-იმერელი



### საყურადღებო ამბები



ვიჩილიდან გეწერენ: „ქვალის“ № 18 დაბეჭდილი ამბავი, რომ „ს. გვარაშვილი და აღექსანდრა ჭუჭუბურდიძის ასული ზეპირ-სიტყვაობის ფონდის სასარგებლოთ შეუდგენ ფულის მოკრეცებას და შემომწირველთა შეუძლიათ მიმართონ ბალახოვის მაღაზიაში“; სრულიად ქვეყნობის მოკრეცებას. შემომხსენებულს ქალს ცნობაც არა ჰქონია ს. გვარაშვილისა და ბალახოვისა. სამწუხაროა, რომ ზოგიერთ არა მკითხველს ბოროტ-განზრახვით რედაქცია შეცდომაში შეჰყვით. „ქვალის“ რედაქცია უპირობოდ თხოვს ყველას, სიფრთხილით მოეცქენ მას და ურიგო ცნობები ააშორან.

\* \*

ს. წაღვლი. „შეგვეცელო ცხოვრება ყოველ მხრივ—ამბობს აქაური მცხოვრებელი მწერელი.—არ გვეკონოთ კი, რომ საწუგეშოთ; არა, ბატონებო, სამწუხაროთ და სავალალოთ ჩვენდა. თუმცა კი დიდათ გვაიმედებდნენ ზოგნი: ახლა რაღა გიშავთ ნასწავლი მამასახლისები საწუგეშოთ შეცვლიან თქვენ

მდელომარობასო, მაგრამ მღერითმა თქვენი მტერიც დაიფაროს და ჩვენიც ისეთი ნუგეშებისაგან, როგორც ჩვენ ესენი გვანუგეშებენ. მართალია ჩვენ არა გეყავს ნასწაველი მამასახლისი და ჩვენივე ბრალია, რომ არ ამოვიჩრჩიეთ ნასწაველი, მაგრამ ქვეყნობის მოგახსენებთ, რომ უმრავლესობამ ეინც კი ნასწაველი ამოიჩრჩიეს, ისინიც არ არიან ბევრათ ჩვენზე უკეთეს მდელომარობაში. ისეთაც შევიწროებულეს და ათას გვარ გადასახალით მობეზრებულეს, ნეტავი რიდასთვის მოგვიმატეს ამათი ორმოცი და სამოცი თუმენები? მაშინ როდესაც უჯამაგირო მამასახლისი უფრო მეტს და უკეთ ვეცითებდა საქმეს, ვიდრე ახლა 40 თუმენიანი. გაეცითებას ვარდა ბატონო! ეს ჩვენსავით უეცი და გაუგებარი კაცი, თუ ცოტა ფეხი გადაგვიბრუნდა და უფრო ხშირათ უსამართლოთ, აქაო და ჩინოვნიკები ვართო (ასე ეძახიან აქ საზოგადოთ გლეხები ახლანდელ მამასახლისებს) დაგვიშენს მათხას შეუბრალებლოთ და გვეცემს, ვიდრემდის თავის სურვილია, ვინ არის დამშლელი! სხვებსაც მოგახსენებ, ბატონო. ჩვენს სამამასახლისოში „კანცელარია“ გვეკონდა და გვაქვს ახლაც აქ (ს. წაღვლიში); მაგრამ თუ შაბათი, ან პარასკევი არ არის, სათილით რომ ეცებოთ აქ, ვერ იპოვით ვერც მამასახლისს და ვერც მას ხელქვე-

თებს. ბევრჯერ ამ დღეებშიც გვიპირის ხოლმე იმათი ნახვა, ასე რომ ერთი საქმისთვის უნდა ორი სამი კვირა ეძებო, თუ ვინდა, რომ საქმე გააჩივო, მაგრამ უნებღებება ის არის, რომ ხშირათ ისეთი საჩივრო და გავკირავებული საქმეები გვექვს, რომ ორ-სამ კვირას შემდეგ აღარ გვარგია და ვიღუპებით ხოლმე. ახლა როდესაც კი გავვიკეთებდნენ საქმეს განა ერთ ორ აბაზს დაგვეკრებოდა ლატაკ ხალხს? აი, თქვენც არ მომიკვდეთ. ეგ რა სასწენებელია! მერე რა შოი! კითხნათ, ბექვის ფული გაზნალოთ, ბატონო. ამასთანავე მოგვემატა წერილ-წერილი გადასახადები: აი, ახლაც იკრიბებოდა ბექვის და ჩაფრის ფული კომლზე ორ-ორი აბაზი. თუმცა კი უწინ 9-13 კ. გებდებოდა ამავე საგნებისათვის. ასე სანუგეშოთ შეგვეცვალა მდგომარეობა და რაღა საქირაო კიდევ გავაბა ამაზე ლაპარაკი. ახლა ამას ვწუხვართ, რომ ამ დალოცვილმა ღმერთმაღ ზურგ-ზე შემოგვაქცია და ზამთარი ზაფხულთა გადავტიკია და ზაფხული ზამთრით, ზამთარში შეწინებრი დღეები იყო, თოვლის დადებას ვერ მოვესწარიოთ და ახლა კი ამ მუშაობის დროს, თოვლსა დებს და ჰყინავს. 9 აპრილს კოკაშდის თოვლი მოვიდა და 10-ს და 15-ს ისეთი ყინვები იყო, რომ წყალი გაყინა რთველილებიც არის, რასაკვირველია, და თუ ერთი ახალ გამოსულს ენანასაც მოასწრო, თქვენი მტერი, რომ ჩვენ დავიღუპებით. კიდევ ბევრნაირათ შეგვეცვალა ცხოვრება, მაგრამ ყველ ას სად იტყვის კაცი!! — ასე ჰკოდებს აქაური მცხოვრები და უჩივის ბუნებასაც და ხალხსაც. ბუნების რა მოგახსენო და მამასახლისის მოქმედებას კი ყურადღების მიქცევა ეჭირება იმისაგან, ვისაც ვერ-არს.

გლგნა მგობარი

\* \*

ს. განჯა. სადღურ განჯაში ქართული წიგნების გამოცემელი ამხანაგობის გამოცემანი და სხვა ქართული წიგნებიც იყიდება ბ-ნ ნოდის სავაქრო მაღაზიაში, სადღურთანვე ახლო მოთავსებულ შენობაში. აქ ქარ. ამხანაგობის გამოცემანი არც უფრო მეტი იყიდებოდა ახლანდელზე (რაუ. ერისთავის პირველი ტომი იქნა სამი წიგნი გაყიდულა აგრეთვე ცოტა გაყიდულა 9 წ. წ. გუნას ერცელი კალენდარი, რადგანაც მაშინ კერძო პირები ჰყიდდენ და ყოველ გვარ საშალებას ხმარობდენ წიგნების გასაქრცელელოთ. ახლა კი, როცა ქართველთა რიცხვმა შესამწინეათ იმატა აქ და ამასთან ქართული წიგნების და გაზეთების კითხვასაც შეეჩეია, წიგნების გაყიდვამ იკლო. იკლო იმიტომ კი არა, რომ აქაურებს სურ-

ვილი არ ქონდეთ კითხვისა, არამედ იმიტომ, რომ ბევრმა არც კი იცის, თუ ბ-ნ თეიმურაზის სავაქრო მაღაზიაში სხვათა შორის ქართული წიგნებიც იყიდება. არ იცის კიდევ იმიტომ, რომ მაღაზიაში წიგნები აწყვიდა თვისთვის უჯრაში და არავის ეუბნება ამ ყიდვით. შედისნარ თ მაღაზიაში და თუ აღრევე არ იცით, იქ ქართული წიგნი არსებობს, ისე ვერც კი შეაჩწინეთ. დასამტკიცებლათ მოიყეყან ორიოდ მაგალითს: ამ დღეებში ჩემთან შემოვიდა ერთი ჩემი თანამოსამსახურე ბ-ნი დ. ბაქრაძე; იყიდა სხვადასხვა ქართული წიგნები ბბ. კ. თავართქილაძის და ზ. ჰუბინაძის გამოცემანი; ამასთანავე მომთხოვა ა. ყაზბეგის ოთხივე ტომი. რადგანაც მე არ მქონდა, ვასწავლე, სადაც იყო გასაყიდი (ბ. ნოდის მაღაზიაში). მან გაიკვირვა და მითხრა: „მუდამ დღე იქ დავდებარ თითქმის და ქართული წიგნი კი არ მინახავსო.“

მეორეთ-ზაფხულში, როცა განჯის ზურებს ათვალეობდა საფილოქსერო დასი, ბ. მ. ცხაკაიას ქართველი მუშები გამოეგზავნა ერთხელ სადღურზე, ქართული წიგნების საყიდლათ და აგრეთვე სიაც მიეცა საყიდელი წიგნებისა. ისინი მოვიდენ ჩემთან, სამი, თუ ოთხი წიგნი იყიდეს, დანარჩენი მივასწავლე ზემოხსენებულ მაღაზიაში. „იქ ეს არის იყავით, მაგრამ ქართული წიგნები არ ჩანდო“, — მიმასუხეს მათ.

მგონი, ეს ორი მაგალითი საქირაო ჩემი სიტყვის დასამტკიცებლათ.

ახლა ჩემი მხრით ეურჩეე ბ-ნ თ. ნოდისა, გააკეთებინოს გარეთ ჩამოსაკიდი მუშებიანი უჯრა და შიგ თითო ცალი ყველა ქართული წიგნებისა ჩააწყოს და დაჭივინა გარეთ. ამით ის ქართველ ამხანაგობას მიცემს სარგებლობას მეტი წიგნების გაყიდვით და ქართული წიგნების გაქრცელემასაც ღიდათ ხელს შეუწყობს. თუ ამისათვის რაიმე ნებაართვის აღება დაქირდება, არა მგონია, მოავრობისაგან დაბრკოლება მიეცეს და შეიძლება ქარ. ამხანაგობამაც აუღლოს ნებაართვა, თუ საქირაო იქნება.

მიყეუე

\* \*

დ. ყვირილი. გდის დრო და თანდათან ეფინება სწავლა-განათლება საქართველოს ყოველ კუთხეს; ქალაქებში, დაბა-სიფოლებში მატულობს რიცხვი შკოლების, იხსნება წიგნის მაღაზიები, წიგნთსაკავეები და სამკითხველოები, რის გამო ჩენი ხალხი თანდათან ენეცეა ქუთნალ-კაზნეთების და წიგნების კითხვას. ახლა ჩენში იშვიათია ისეთი დაბა,

სადაც ერთი ამ კეთილ დაწესებულებათაგანი არ იყოს და ამას შემდეგ კი იმედია თანდათან იმატებს. მხოლოდ თ. ყვირილაში ამოღენა ხანი არც წინის მაღაზია იყო, არც წიგნთ-საცავი და არც სამკითხველო; ახლა კი, როგორც შარშან იყო „კვალის“ № 48-ში გამოცხადებული, აქაურმა მცხოვრებმა ახალგაზდა ა. არაბიძემ გააღო წიგნის მაღაზია. თუმცა იანვარში უნდა გაეღო ბ-ნი ა. არაბიძეს მაღაზია, მაგრამ სხვა-დასხვა მიზეზების გამო 17 აპრილამდის არ გველირს. ახლა ბ-ნი არაბიძე წიგნთ-საცავის და სამკითხველოსთვისაც გვითმობს ერთს დიდ ოთახს იქვე და იმედია, ბ-ნი თ. ხუსკივაძე, რომელიც ყოველ კეთილ საქმეს თანაუგრძნობს, და რომელსაც წიგნთ-საცავის და სამკითხველოს გახსნის ნებაართუ უყვე აქვს აღებული, დაუჩქარებს და მალე გვაღირსებს ორივეს, რადგან მართლაც მაღაზია ბევრს ეგრის გაგვიკეთებს. ისეთს კეთილ-დაწესებულებებს, როგორიც არის წიგნთ-საცავი და სამკითხველო, უბრალო სოფლებშიაუც საზოგადოება გულ-დასმით უკიდება და თავის წელიდს არ ზოგავს მათთვის და დაბა ყვირილაში კი, ჩემი ფიქრით, უფრო შეგნებული საზოგადოება და იმედია, ასეთს კეთილ საქმეს აქაუ-

რი საზოგადოება შეწყენას ამოუჩინეს, როგორც წიგნებით, ისე ფულით.

ს. ჯა-ლა

\* \*

ქუთაისა: ერთი მითქმა-მოთქმა იმის შესახებ აქ, რომ ერთი ნაურიალი, რომელიც საეკლესიო წმიდა სანთლის საწყობში ჰყავდათ საქმის მწარმოებლათ, ეს ათი დღეა სადაც გაქრა და, როგორც ამბობენ სამი თუ ოთხი-ათასი მანეთი გზის ფულით თან გაიყოლია. თან ვარდა, ვაქრებს, თუ სხვა კერში ჰივრება ზოგს ხუთი თუმანი, ზოგს მეტი, თუ ნაკლები, ვისაც, როგორც შეხვდა, გამოტყუა: მე-საათეს—საათი, მეპალტოეს—პალტო შალვარი და სხ. და სხ. დაბოჯა და გაუდგა გზას. ასევე-დასავალი ველარ გაივს საით გადაიკარგა. ეს კაცო, ავტორეა წელიწადი რაც მონათლეს, მალე ამ სანთლის მაღაზიაში დააყენეს და ჯამაგირს 25 მანეთს აძლევდენ თვეში. როგორც ახლა ამბობენ, თურმე ძალიან ცუდი ყოფა-ქცევის კაცი ყოფილა. სამწუხაროთ, ამასაც კი ამბობენ, რომ იმისი ცუდი ყოფა-ქცევა მთელმა სობოროს კრებულმა იცოდა და, საყვირელია, რომ ყურადღებს არ აქცევდნო.

„როუხის ბრძოლის“ გამოც

**მ**ოსე ჯანაშვილისაგან ახლათ გამოცემულს „საქართველოს ისტორიაში“, სხვათა მწერალთა და პოეტთა შორის, დასახლებულია იოანე გეგეჭკორი, პოეტი, დამწერი „როუხის ბრძოლის“. ეს პოეზა, დაწერილი 1838 წელს, პირველათ დისტამბა დავით ჩუბინაშვილისაგან გამოცემულს ქრისტომატიკაში და ამ ახლო ხანს ცალკე წიგნაკათ გამოიკა ზ. ჭიჭინაძისაგან.

იოანე გეგეჭკორი დიდი ხანია, რაც გადაიცვალა, გარნა „როუხის ბრძოლის“ დამწერი ჯერეც ცოცხალია და ისევე ერთგული ჭართულის სიტყვიერებისა, როგორც ამ ნახევარის საუკუნის წინათ. იოანე გეგეჭკორი არის ფსევდონიმი მოხუცის შიშის სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ძის გრიგოლისა, რომელიც ჩვენს მწერლობაში ცნობილია კიდევ მეორე ფსევდონიმით—კოლხიდელით. როგორც მე გამოვინა მისგან, „როუხის ბრძოლა“ დაუწერია მას, როდესაც იგი იყო ოცის წლის ქა-

ბუცი, ვილაც ლომ-კაცი ქელბაქიანის ნაამობიდან მოშარც წერს პოემის შესავალში:

„ესე ამბავი შიამო ასი წლის ტვირთათ მქონემან  
ლომკაცი, ქელბაქიანმა, თეჯოლას სოფლის მცხოვრებმან,  
გამზრდელმან ჩემის გამზდელის, ამა ბრძოლაში  
დამწერემან  
და აწ თქვენ მოკითხრობთ, მკითხველნო, ეთა  
შეიძლო ღონემან.


ეს ხანა, არ ვიცი, რისთვის გამოუჩინებენ ჩუბინაშვილს ქრისტომატიკიდან. ახალგაზდა პოეტს ვერ გაუბედნია თავისი სახელის მოწერა და პოემას ქვეშ დაუსვენას სახელი და გვერი მისი ძმის დავით დადიანის მსახურის იოანე გულას ძის გეგეჭკორისა. თეიმურაზ ბატონიშვილს, რომლის თვალწინაც იყო თურმე დაწერილი ის პოემა, მიუწერია ავტორისათვის შემდეგი გასამხნეველი ლექსი:

„კოლხთ ასპარეზის ახლო  
გვირა, შიირთ ზღვას მცურავო,

ღირს სახსოვართა ბრძოლითა  
 ჯილდოთ მამაცთ გულთ მჭურაეო,  
 ცნობა მსურს, ამად სალამს გძღვნე,  
 ომერის ბაძვის მწყურაეო,  
 ღირსი ხარ კარგთა პოეტთ გრქენ:  
 უბრაო, გვეგუკურაო!\*

რუხის ბრძოლას ზედაც ატყვია გამოუცდელი  
 მარჯვენა ყმაწვილის კაცისა. სამწუხაროთ, არც  
 ჩუბინაშვილს და არც ზ. ჭიჭინაძეს არ დაუსტამბავთ  
 ეს პოემა ისე, როგორც არის დაწერილი ავტორი-  
 სავან.

ა. შენარგია



სასაფლაოს მისვლია ნადირი.

მკედრების დამარხვა სხვა-და-სხვა ხალხში

**ს**ესტრალიაში მკედრთა მცხოვრებლები სხვა-  
 და-სხვა წესით მარხვენ თავიანთ მკედრებს.  
 შავალითათ სოლომონოვის კუნძულის მცხო-  
 ვრებლებს ჩეყულებათა აქეთ, რომ თავიანთ დიდ-  
 კაცების გეჰს შედებენ მალა ხეებზე გამართულ სა-  
 კაცებზე, ქვეშ უთხრიან საფლავს, რომელშიაც გა-  
 ხრწნილი გემის ნაწილები ცვივა და ძელები კი  
 რჩება\*) მერე ჩონჩხს ცალკე მარხავენ და საფლავს

ზემოდან სახურავსაც უყვებენ. ამ დროს დიდ-და-  
 ლი ფრინველი და ნადირი, როგორც არის ნაჩვენები  
 ამ სურათზე, დაესვენენ ხოლომე საფლავს.

მათი სხვა მგზობლები მკედრებს მიტკალში  
 ახვევენ და თავს კი თიხის ჭურჭელში ჩაუდებენ და  
 ისე ასაფლავებენ; შიგ საფლავში ჩაუწყობენ თავის  
 ია-აღს და ყოველ გეარ მორთულობას. საფლავს  
 გადახურავენ ან ჩაღას და ან ფოთლებს. ზოგჯერ  
 ამის ზემოდან თავიანთ სალოცავ კერძსაც დაასკუბენ.  
 თუ ოჯახში უფროსი შვილი კვდება, მალა საკა-  
 ცებზე დადებენ, დედა შეუკეთებს ცეცხლს და სანამ  
 სხეულს თავი არ მოშორდება — ცეცხლი  
 ანთია. ბოლოს სხეულს ჩაფლვენ მიწაში და თავს

\*) ამგვარივე ჩეყულებს ჰქონდათ ძველათ აფსაზებს  
 და ქართველებს.



კი გახზობენ. მაშინ მკვდრის ნათესავები ყველა მოგროვდება, შუაში ჩაჯდება მამა, წინ დაიდებს შვილის გამხმარ თაეს დამოწყებთან დაუბოლოოვებელ გოდებას. ზოგჯერ ოცი დღის განმელობაში საკაცეს ქვეშ უნთებენ ცეცხლს და ნიღ-ნიღა ახზობენ გემს, სანამ მუშაით არ გადაიქცევა. შემდეგ შვიდრეა დღის განმელობაში ილიდი ამბით გაიხიდიან დამარხვის წესს და ბოლოს საღ'ე გამოქვაბულში დატოვებენ.

გენიის კუნძულის მცხოვრებლებს (ავსტრალ-

მჯდომარეს მარხვენ, პირს დასაველთისკენ უზმენ და საჭმელ-სასმელს გვერდით მოაუწყობენ. ზოგჯერ მათ განმა იცის, მკვდარს მალა ხეზე დატოვებს, ან ნაეში და ან ყუთში ჩაღებს. ხშირათაც იცია მკვდრის გემს და მის ცხენს ერთად დაწვენ.

მდინარე მისისიპთან, სოფლებში გამართული არის ისეთი სახლები, სადაც აგროებენ მკვდრების ძელებს. ხშირათ, როდესაც ამით წინამძღოლი მოუყვებდათ, მის მხლებლებსაც ჰკლავდნენ სხვა-და-სხვა ველურ ხალხში ისიც ხშირია, რომ



წინამძღოლის დასაფლავებას ახალ ზელანდიის კუნძულზე.

ლიაში) ჩვეულებათ აქეთ: თავიანთ მკვდრებს დადებენ საკაცეზე საღმე ტყეში, გვერდით ხეს ჩაურგენ და ამით თავდება მათი წესი.

ახალი-ზელანდიის კუნძულის ხალხი თავიანთ უფროსების საფლავზე ძეგლებს დგამენ: აილებენ გძელ კუმსს, გათლიან ისე, როგორც ადამიანი და დადგმენ საფლავზე. ზოგჯერ ტანისამოსსაც ჩააცმევენ, სახესაც დაუხატვენ ისეთივეს, როგორც მკვდარი იყო.

ჩრდილოეთ ამერიკის მცხოვრებლები მკვდრებს

მკვდრებს დაწვენ, მაგრამ ბევრი თაეს არ იწყებენ, სიაღვილის გამო მოხმებს პირდაპირ ზღვაში ჰყრიან.

ველური ხალხის დამარხვის ყველა ჩვეულებას არ ჩამოეთვლით. ამას კი ვიტყვი: თათრებმა იციან მკვდრებს მჯდომარე დამარხვა და პირს აღმოსავლეთისაკენ უქცევენ. ამას ჩვენგანაც ბევრი ნახავდნენ ბოტანიკური ბაღის ახლო, სადაც თათრების სასაფლაოა.

ან. წ.

## ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან



იგი ამილახერის დატუსაღებით მეფე თეიმურაზმა თავიდან მოაშორა ძლიერი მტერი. თუმცა ქართლში კიდევ იმყოფებოდნენ თეიმურაზის წინააღმდეგნი, მაგრამ მათ აღარ ჰქონდათ არც ძალა და არც გავლენა. ვემაზობეთ ველარ გაბედეს თავიანთი ბოროტი მოქმედება, რადგან მოთავე საქმისა, მათი სულის ჩამდგმელი—გვი—საპყრობილეში იმყოფებოდა. თეიმურაზმა გამარჯვებულათ დაიარა თავისი სამეფო და შეუღდა მის ქეთილ-ღვობას და გაძლიერებას. ხალხი ვანუჩიელებად მოღვინა, ყოველგან დიდი სიხარულით მიეცა მეფეს. ტანჯული ქართლის ერი დამშვიდდა; იგი აშკარათ გრძობდა, რომ აწ დადგა ყამი სოცენებნისა. აოხრებული ქართლი კიდევ გაძლიერდა. ჩვენ უკვე აწერილი გვაქვს ეს საშინელი ტანჯვა და წამება, რომელიც აიტანა ქართლის ხალხმა 1723 წლიდან თეიმურაზის გამეფებამდე. ეახტანე მეფის რუსეთში გადასახლებას შემდეგ ქართლი დარჩა სრულიათ უპატრონო და უნუჯეშო, იგი წარმოადგენდა ნამდვილ უდაბნოსა და არა სამეფოს. ხალხს უფრო აწუხებდნენ შინაური ეახტანები, ვიდრე ჩვენს მოსახლეს გარეშე მტერი. —აი, ეს გარემოება იყო მიზეზი იმ განუზომელის სიხარულისა, რომელითაც ქართველნი მიეცებენ მეფე თეიმურაზს; ამასთანავე ნამდვილი კამიზი და ერთობა მცხეთის სამეფოსთან ხალხს დიდს იმედს და ნუჯეშს აღუძრა.

1745 წელს თეიმურაზს სპარსეთიდან მოუვიდა შემდეგი ბრძანება ნადირ-შაჰისა: „როგორც თქვენი მეფობის რიგი იყოსო, ვგრე კურთხევა მიიღეო“, ეს აზბეი ელვის სისწრაფით ვაგრეკელდა ქართლ-კახეთში და ხალხს მეტათ გახარებული იყო. ამ მეფის კურთხევას ქართველნი დიდს მნიშვნელობას აძლევდნენ. „ეს ღმერთმა, — ამბობდნენ იმ დროს — მეფე თეიმურაზს წყალობათ მოუვიდინა, თორემ რამდენი წელიწადი გასულიყო, ყამათ ვითარებისაგან ცხებული მეფე ქართლში არა მჯდარიყო, მადლობდეთ ღმერთსა.“ თეიმურაზმა გაგზავნა კაცა კახეთში და კურთხევაზე მოიწვია თავისი შვილი, ერეკლე და დედოფალი ანა კახეთის დარბაზისღვინითურთ. მიიღო თუ არა მამის წერილი, მეფე ერეკლე მაშინათვე გაეშურა ქალაქისაკენ. ქალაქ გარეთ მას მიეცებენ მთლიან ქართველობა: თავადაზნაურნი, მოქალაქენი და სამღვდელ-

ლონი. ახალგაზდა მეფე იჯდა წითელ ტიპზე; მას მხიარულათ მოედდა დას-დასათ დაყოფილი ცხენოსანი ჯარი თეიმურაზი და თამარი ერეკლეს მიეცებენ სასახლენი და მათ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდათ.

შემდეგ ამისა მეფე შეუღდა კურთხევისათვის მზადებას. მან გასცა ბრძანება, რომ მოეწაზლებინათ დროშები, როგორც წინათ ყოფილა რიგი და წესი. საჩქაროთ გააკეთეს ოთხი დროშა „ჯვარათ მოცულა“. ერთი დროშა საკუთრივ მეფესთან იმყოფებოდა, მეორე თეიმურაზმა უბოძა ამირ-სპასალარს ქაიხოსრო ორბელიანს, მესამე — კოსტანტინე მუხრან ბატონს, და მეოთხე — დიმიტრი ამილახერისა.

სეტყმების უქანასკნელ რიტუებში ქართლ-კახეთის დღე-კაცობა, დარბაისლნი, ერნი, დასნი სამღვდელლონი — გამართნენ მცხეთისაკენ; აქვე მოვიდნენ ქართლ-კახეთის მეფე-დედაფალნი. მათ მიეცება ანტონ პირველი-კათალიკოზი. ამ უქანასკნელმა განაწესა ყოველ გვირი კურთხევის წესი, როგორც სამღვდელოსათვის, ისე საერო კაცთათვის. ამ მომზადებას ორი დღე მოუწდა. მესამე დღეს გამოძახდა თეიმურაზი. ანტოქის საყდრის წინ დიდა სეფა იდგა; ამის გვერდით დადგეს სეფანი. აი, სწორეთ, ამ სეფანში დაბანდა თეიმურაზი, რომელსაც თან ახლდნენ ქართლ-კახეთის დარბაისლნი; ამთშორის ზოგი წესისამებრ იჯდა, ზოგი კი — უფხზე იდგა. თეიმურაზს მოართვეს სამეფო შესამოსელი: პორფირი, ბისონი, დიადმა, გვირგვინი, მხალი, სიკატრა და ქვეყნის სუფრო. შეწინებრათ შემოსილი მთავარ-ეპისკოპოსი არსენი მთავარ-დაიკენებით საქმეველს აკმედნენ. ამათ წინ მიუძღოდათ დასნი მგალობლნი, რომელნიც გალობდნენ „გალობასა ჯვარისაზე“. ესენი მიუახლოდნენ, თაყვანისცეს მეფეთ და ემბოზენ. ამას შემდეგ მისცეს სამეფო შესამოსელი და იარაღი მთავარ-ეპისკოპოსს, რომელმაც ორივე ხელით დაიჭირა, და გალობით შეიტანეს ეკლესიაში.

ამ დროს დაბრუნდნენ მწუხრისა და თვით მეფეც შებანდა ეკლესიაში, სადაც მოეცებენ ეპისკოპოსნი და თაყვანი სცეს ბატონსა. დააწყეს მწუხრისა ლოცვა, რომელიც მალე გათავდა. რადგან მეორე დღეს სვეტი-ცხოველის დღესასწაული იყო, ამიტომ ღამე თვეთ გადაიხანდას.

მცხეთაში შეიკრიბა დიდძალი ხალხი. ყველა დიდი მოწიწებით მოელოდა ამ დიდ დღესასწაულს და მეფის კურთხევას. აპერ გათენდა კიდეც. მაშინათვე შეწინებრ და ფერად-ფერადის ფარდაგებით მოართვეს სეფა, რომლის წინ დამწკრივდა ქართლ-კახეთის ჯარი, თავ-თავიანთ დროშებით.

პატარა ხანს შემდეგ გამობრძანდა თეიმურაზი

\*) იხ. „აგვალ“ № 17.

და დამბანდა „სევთსა შინა“. ჯერ პირველათ მეფესთან მოვიდენ სამღვდლო დასნი ამ რიგათ: კარის ღვკაროზს თავზე ედვა ხატი პატიოსანი, ჯვარის მტვირთველსა—ჯვარი ეყრა, მთავარ დიკონნი საცმეველს აკმედევენ; ამათ შემდეგ იმყოფებოდენ მღვდელნი, რომელთაც ხელში ეჭირათ დიდრონი ლამპარნი: ბოლოს მოდიოდენ გალობით მგლოზბენი. სამღვდლოს შემდეგ მეფეს თავყვანისცეს იმ იონიო-ბაშუმბა, რომელნიც ქ. თბილისში იმყოფებოდენ და კურთხევის სანახავთ მცხეთას მოსულიყვენ. პატრიარქის არქიდიაკონმა მეფეს დიბტილა მოახსენა და თანაც ქება შესახა. ეს რომ გაათავეს, მეფე მიიწვიეს ეკლესიაში.

მეფე თემურაზს აქეთ-იქით მიდევდენ სარდალი ქაიხოსრო ორბელიანი და მუსხრან-პატრიანი კოსტანტინე. პირველს ეყრა მეფის მარჯვენა მკლავი; მეორეს კი მარცხენა. მეფეს უკან მოდევდენ დიდებულთა კაცთა შვილნი, შეენიერი და ძვირფასი იარაღით შეკაზმულნი“. თითოეულს მათვანს ცალ-ცალკე მოქპონდა მეფის რომელიმე იარაღი. დიდკაცობას მოდევდა ქართლ-კახეთის ჯარი, სამ რიგათ დამწკრივებული თავ-თავიანთ დროშებით. ამ გვარათ ეს პროცესია ეკლესიას მიუახლოვდა; სამი დროშა კარზე დააყენეს. ჯარი კი შეიარაღებული ეკლესიაში შევიდა, ამ ჯართან ერთათ სარდალ დაეთითა შემოიტანა მეფის დროშა და დააყენა აღსველის კარზე. შემოსილნი პატრიარქი, ეპისკოპოზნი და ყოველნი სამღვდლონი კარის ბეჭეში მიეგებენ მეფეს და თავყვანისცეს. ერთ მხარეს თემურაზს მოუდვა პატრიარქი, მეორე მხარეს მთავარ-ეპისკოპოსნი, წინ კი მიუძღოდენ დანარჩენი სამღვდლოება ხატითა და „ლამპარებითა მთებარებითა“. ამ რიგათ შეენიერი გალობით შეიყვანეს მეფე ეკლესიაში, სადაც კარიდან დაწყებული მუთა გულამდის ეშალა ფიანაზი, აქვე იყვენ შემოსილნი სომეხთა დასნი და ფრანგნი.

პირველათ მეფე მიიყვანეს აღსაელის კარის ქვემო ალაგას. გარშემო იმას ტხევა ყველა იქ მყოფი ეპისკოპოზნი. აქ პატრიარქმა მეფეს ჯერ სარწმუნოება ჰკითხა და შემდეგ წაუკითხა აღტქმის ეპისტოლე. ეკლესიის შუალაგას იყო გამართული დიდი ტახტი, რომელზედაც იდგა ორი სელი. როდესაც პატრიარქმა დაასრულა აღტქმის ეპისტოლეს კითხვა, მაშინვე მეფე ავიდა ტახტზე და ერთ სელზე დასხანდა, გვერდით მოუჯდა პატრიარქი. ამათ წინ დამწკრივდენ როგორივით ეპისკოპოზნი: ერთ მხარეს იდგენ მთავარ-ეპისკოპოზნი და ექვსი სხვა ეპისკოპოზი, მეორე მხარეს ალავერდელი და აგრეთვე ექვსი ეპისკოპოზი.

რა ჩააცვენ თემურაზს მარტივი სასახლე და წიფის ლოცვა. დანიშნულ დროს პატრიარქი დასწრისა დასწრის წმიდა-წმიდათაში და შემდეგ ამის მიიწვიეს მეფე საკურთხეველათ; აღსაელის კარამდის მეფეს მიდევდენ სარდალი ქაიხოსრო და მუსხრან-პატრიანი კოსტანტინე. ერთ ამთვანს ეპარა მარჯვენა მკლავი, მეორეს მარცხენა. აღსაელის კარს რომ მიუახლოვდა მეფე, მოეგებენ მთავარ-ეპისკოპოსი და ალავერდელი, რომელთაც შეიყვანეს საკურთხეველათ და მეფეს აცხეს საცხებელი ჯვარის სახეთ: ჯერ მუხბულზე, ბეჭეზე და ბოლოს გულზე. რა გაათავეს ყველა ეს, მეფეს ჩააცვენ დიადიმა, წამოასხეს პორფირი და ცაადგეს სამეფო გვირგვინი: მარჯვენა ხელში მისცეს სკიპტრა და მარცხენაში კი ქვეყნის სფერო.

როდესაც მოვიდა წმიდა ზიარების დრო, პირველათ ეწიარენ სამღვდლო დასნი და შემდეგ მეფემ მიიღო წმინდა საიდუმლო პატრიარქის ხელითა. ამ დროს სკიპტრა რიგვს ორბელიანს ეყრა და ქვეყნის სფერო კი მეთიარ ზურაბსა. ესენი კურთხევის დროს მეფის მახლობლათ იდგენ.

წინა ვითავდა. საკურთხეველიდან გამობანდა „სცხებული მეფე“, რომლის ერთი მკლავი ეყრა პატრიარქსა და მეორე კი მთავარ-ეპისკოპოზსა. მეფე დამბანდა სამეფო ტახტზე და ამირ-სასალოარმა ქაიხოსრო ორბელიანმა მართვა ხმალი, რომელიც დალოცვის უმაღლ შემოკრუტყეს მეფეს, დასასრულ, პირველთა ეამბორენ მეფეს სამღვდლო დასნი; მათ შემდეგ წარდგენ მეფის წინ დარბაისელნი და „ხელითა კარცხლბეკთა“ ეანბორნეს.

ამით ვითავდა მეფე თემურაზის კურთხევა ეკლესიაში. გამობანდა თუ არა იგი ეკლესიიდან, ისეთი დიდი სროლა თოფებისა და ზარბაზნების შეიქნა, რომ თანამედროვე მემკვიდრის მოწმობით აქურთა ხმა აღარ ისმიადა“. მეფე შებანდა ანტიოქის საყდარში. აქ იდგა სეიანი, ოქსინო მოვარდული, რომელშიაც დასხანდა თემურაზი. პირველათ დედოფალმა თამარმა მიულოცა, მას შემდეგ როგორივით მივიდენ მეფესთან უფლისწულნი და ჯალაზნი დარბაისელნი და მიულოცეს კურთხევა. რადან სხვადასხვა გარემოებათა გამო ქართველთა დიდი ხნის განმელობაში არ ჯდომოდით მეფე ტახტზე. კურთხევიტ გვირგვინოსანი“, ამიტოვ თემურაზ II-ის კურთხევა ქართველებმა დიდი სიხარულით და ამბით ვაღიხადეს. შეიქნა მეფელის და დიდი ლხინი, ხალხის სიხარულს და აღტყმებს სასღვარი არ ჰქონდა. მხოლოთ ეს გულწრფელი სიხარული ქართველებისა არ იყო ხანგრძლივი. კურთხევის შემდეგ თემურაზი და ერეკლე სამეფო წამოვიდენ ქალაქში და მეფედენ თავ-თავიანთ მიწვევას საქმესა.

### კრიტიკის კრიტიკა

(ფაქტორები ისტორიული პროგრესის ფასი. „კვლევა“ № 49 — 52 1894 წ.)



ვალის“ მე-49 — 52 ნომრებში ბ. ფანმა დაბეჭდა ერთი წერილი ასეთი სათაურით: „ფაქტორები ისტორიული პროგრესისა“. რის შესახებ არის აქ ლაპარაკი? რას გვასწავლის ავტორი? ბევრ რასმეს, მკითხველო, მაგრამ განსაკუთრებით ნაკულუღენებებს ესრეთ წოდებული „თეორიის ეკონომიური მატერიალიზმისა“; ამას მოაღწევს უარისყოფა ისტორიისა და ისტორიული კანონებისა. ეს ახლმოადის კრიტიკა მარტივიც არის და რთულიც, ადვილიც და ძნელიც, როგორც ესუთ, რა მხრითაც შეხედავთ. თუ მოფიქრება, მოახრება გინდთ, მაშინ ამისთანა ადვილი არა არის რა, ხოლო თუ განხორციელებას მოკიდებთ ხელი, ის მაშინ ძნელია, უკან იწევთ, ვერ ბედავთ. რაში მდგომარეობს ესკრიტიკა? აი, რაში: გასარჩევი აზრები მოიყვანეთ არა ისე, როგორც არის წარმოთქმული მოწინააღმდეგეს მიერ, არამედ თქვენვე შეთხზეთ, გამოგონეთ და ზედ ბუქნა გამოართეთ, ბრძოლა გამოუტყდათ, აი, ადვილი და სადა ვა? ამის საშუალებით სათქვენაც ესუთ იქით წახვალთ, მარჯნივე, გინდ მარცხნივე, წინ, გინდ უკან, საზღვარი არ არსებობს. შეიძლება თქვით: ეს რა კრიტიკაა, ეს თავის თავთან ბრძოლაა. თუ გენბოეთ ეს ასეა, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ მეზრძოლი ამას არ გრძნობს. როცა ნეტარ-ხსენებულ დონკიხოტმა ცხვირის ფარას რომ გამოუტყდა, ის დარწმუნებული იყო აი, ესენია ჩემი ნამდვილი მტრებიო. მართალია ქვეყანა და ციხიონდა, მაგრამ აღმოჩნდა ერთი კაცი — სანჩო-პანჩო, რომელმაც მისი თანამგზავრობა იკისრა. ჩვენ, მეცხზამეტე საუკუნის შვილთ, ისიც კი აღარ გინდა, რომ აღმოჩნდეს დონკიხოტებს თითო სანჩო-პანჩო მაინც უკედეთ მათ სასუფევეზბლათ და გასამხნევეზბლათ. აი, რა გულცივი და შეუბრალებელი ვართ! ასე გაწინიჯეთ აღარც მე მსურს, რომ „კვლის“ მკითხველის შორის აღმოჩნდეს ერთიც, რომელმაც ბ-ნი ფანს დაუჯეროს და თქვას, აი, თურმე რა საძაგელი რამ ყოფილა ეს რაღაც ეკონომიური მატერიალიზმიო. არა, ნუ ჩქარობთ. ბ-ნი ფანს მიერ მოკლეთ“ მოყვანილი ეკონომიური მატერიალიზმი საკუთარი მისი ეკონომიური მატერიალიზმიო. ამას არავითარი კავშირი არ აქვს იმ ისტორიულ ფილოსოფიასთან, რომელიც მარქსმა და ენგელსმა შემოიტანეს სოციალიზმში.

\* სწორედ ესევე „თქმის ბ-ნი ნ — დის ნაწევრებულად.

საკვირველი ის არის, რომ ბ-ნი ფან თავის მიერ მოგონილ თეორიასაც ვეღარ არღვევს, მაშ ჩვენ დავარღვიოთ.

ავტორი წერს:  
 1) „თეორია ეკონომიურის მატერიალიზმისა ჰგონებს, რომ ყოველ-გვარ ისტორიულ მოვლენაზე ზედ-მოქმედება და გავლენა მხოლოდ \* ეკონომიურ ინტერესსა, კუქის მოთხოვნილებას აქვს“. მართალია ეს? განა უთქვამთ ეკონომიური მატერიალიზმის დამარსებელთ ისტორიულ მოვლენაზე, მხოლოდ ეკონომიურ ინტერესს აქვს გავლენა? ეს ხომ ამის თქმა იქნებოდა რადგანაც ქვეყნიერობა ემორჩილება კანონს საერთო მიზნადივლელობისას, ამისათვის ბუნების მოვლენაზე მხოლოდ ამას აქვს გავლენა. ან კიდევ: რადგანაც სითბო, ფერი, სინათლე, ელექტრონი და სხვა ბუნების მოვლენანი წარმოადგენენ მხოლოდ მატერიის მოძრაობას, ამისათვის ყველა ეს მოვლენა ერთი და იგივეა. როგორც ვიკითხოვო ასე არ გვასწავლის. მეორეთ, ეკონომიური მატერიალიზმი ისტორიას მართლა კუქის მოთხოვნილებათ ხსნის? სრულიათაც არა. ისტორიული განვითარება წარმოებს არა თუ თანხმავთ კუქის მოთხოვნილებას, არამედ მის წინააღმდეგაც. საშუალო საუკუნეებში ევროპის მშრომელი ხალხი ხორციით და პურიით იყვებებოდა, დღეს კი კართოფლით იყვებება. (იხ. ამის შესახებ ტენის თხზულება „L'origine de la France contemporaine“). მე-XIV და მე-XV საუკ. მუშა მტ დღის ქირას იღებდა, ცხოვრების ღირებულებასთან შედარებით, ვინამ დღეს. (იხ. „Histoire des classes ouvrieres par. m. Levasseur, membre de l'institut. P.) გურიაში ამ 15 — 20 წლის წინათ ყველგან ჩხავრის ღვინო აყენებდენ, დღეს კი მისი ადგილი იზაბელამ დაიკიორა. ნუ თუ ასეთი ცვლილება კუქმა გამოიწვია? კუქისთვის კართობილს ხომ ხორცი ჯობს. იზაბელას ჩხავერი. ერთი სიტყვით ეკონომიური მატერიალიზმი სრულიად არ „ჰგონებს“ იმას, რასაც ბ-ნი ფან „ჰგონებს“. განვარძლოთ. 2) „ეკონომიურმა ინტერესმა და სარგებლობამ იძლია, აღამიანს შეედგინა საზოგადოება და ამ უკანასკნელის მოთხოვნილებანი ხშირათ პირიქებისთვის ხელის შემზაკველი მიაღებინა და თავს მოახვია“. ნეტუ ვიცოდეთ, სად ამოიკითხა ეს ავტორმა? რომელი მატერიალიზმი ამბობს ასეთ ფრაზებს? მართალია, ეს სიმართლეს სრულიად არ არის მოკლებული. მაგრამ ამით არაფერი არ იხსნება, არ გვიჩვენებს, თუ რატომ განვითარდა საზოგადოება ასე თუ ისე. მეორე მხრით, ეს აზრი ცალკმარებია. პირენდელი საზოგადოება ექვემდებარებოდა გამარჯვლებით მოთხოვნილებას, ოჯახურ წყობილებას, ე. ი. ჯგუფთ დებებოდა თან-

\* კურსივი ყოველგან ჩვენია.

ხმათ სისხლის ნათესაობის აქ ეკონომიურ პირობებს მცირე ალავი უპყრია ვინაიდან ის ხელის შემშობველი ნივთიერი მოთხოვნილება ი, რომელიც შემდეგ განვითარდნა, მაშინ არ არსებობდნენ. ევლორი კაცი არ არის დამოკიდებული ეკონომიურ წყობილებსაჲს, რადგანაც ეს წყობილება ჯერ კიდევ არ არსებობს, ის თავისუფალია თავისუფალ ბუნებაში. მხოლოდ თანდენათ ვითარდება შრომა, შრომის იარაღი, ჩნდება კერძო საკუთრება და ფეს იკადებს მტკაცე ეკონომიური ორგანიზაცია, იმდენათ ჰყარავს სისხლით ჩამოშვლობა თავის შემავრთებელ მნიშვნელობას და ადგილს უთბობს ახალ საზოგადოებას, რომლის შემაკავშირებელი ძალა არის არა სისხლი, გვერი, არამედ ეკონომიური მოთხოვნილება. ასე ლაპარაკობს ეკონომიური მატერიალიზმის მამამთავარი — ფრიდრიხ ენგელსი (იხ. „l'origine de la Famille, de la Propriété privée et de l'Etat“ P. 1893 გვ. v).

3) „საზოგადოებას და ისტორიაში თუ რაიმე ცვლილება ხდება, ეს ცვლილება ეკონომიურის ურთიერთობისა: ჯერ ეს უკანასკნელი ძირეულათ უნდა შეიცვალოს, რათა შემდეგ თანაბრივე ცვლილება მოხდეს პოლიტიკურ განწყობილებაში“. ჩვენ ვიტყვი, რომ ძლიერ ბევრი ცვლილება ხდება ისტორიაში ეკონომიური ვითარების შეუცვლელათ, შორის ნუ წყვალთ, ავიღოთ ჩვენი ისტორია, აქ ეხებადეთ, რომ დღეს ერთი მეფე განაგებს სამეფოს, ხვალ მეორე სხვა წესით, სხვა ჩვეულებით. საქართველო ხან დამოუკიდებლათ ცხოვრებს, ხან საპრუსიანთა ვაგონებს ქვეშ იმყოფება. ჩვენ ვიცით საქართველო, ვაგრთიანებული ერთი მეფის წინამძღოლობით. შემდეგ ეს ერთობა ირღვევა და ბოლოს სრულად ჰყარავს თვითარსებობას. ყველა ეს ცვლილება წარმოებს ისტორიაში და პოლიტიკაში, თუმცა ეკონომიური ურთიერთობა ერთი და იგივე რჩება. მიუხედავთ ამისა ყველა ეს ცვლილება თანაბარ ეკონომიურ ყოფა-მდგომარეობაზეა აშენებული და გამაგრებული. ამ საძირკველზე სხვანაირი მოვლენა ვერ აშენდებოდა. ამის შესახებ ჩვენ ვრცელათ (პოეტიკაზარკეთ და მკითხველსაც იქ მიუთითებთ „ეკონომიური წარმატება და ვრცენება, „შოამბე“ № 5).

4, „პოლიტიკურ ძალას და ფორმას არავითარი დამოუკიდებელი გავლენა და ზედ მოქმედება არ აქვს ცხოვრებას და ისტორიაში იგი მუდამის ხედა საერთოელ წარმოადგენს მხოლოდ, მტკს არაფერს“. ასე ხატავს ავტორი მატერიალიზმს ს მოძველებას. მეორე გვერდზე ეს დაუეყწყინა და სხვანაირათ წერს: „ეკონომიური ცხოვრების მოძველების ერთი დადგენათავანი იმაში მდგომარეობს, რომ ძალა, ანუ გავლენა, რომელიც არ იყო წინათ დამოუკიდებელი და სხვა ძალის და მოვლენის ზეგავლენას ემორჩილებოდა, შემდეგ როცა გამოარკვევა, დამოუკიდებელი გახდება, სხვა მოვლენაზე თვითონ იქონიებს გავლენას, ზედ მოქმედებს“. რომელი ფა ლაპარაკობს მართლად? პირველი, თუ მეორე? ან შეიძლება ეკ. მატერიალის-

ტი ევოლიუციონერი არ ჰგონია?\*) თუმცა ორივე ფა ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ ერთთალი კი არც ერთი არ არის. ქვა-კუთხედ ეკონომიური მატერიალიზმისა მდგომარეობს იმ მოსახრებაში, რომ მიზეზი და შედეგი მჭიდროთ არიან შეკავშირებულინი. მიზეზი ხშირათ შედეგათ ხდება და შედეგი მიზეზათ. ესენი ერთმანეთის ადგილს იკვირენ. ბუნებრივს, ან ისტორიულ პრაქტისს, საერთოთ თუ გავშინჯათ მიზეზს და შედეგს, ვერც კი გამოავტობთ. ყველა მოვლენა ერთი მეორეზეა ვადამულა-ვადამობული, ერთი მეორეს ვადებენ და ძირს უშვებენ. თუ ერთი ამათვანი ირღვევა, დანარჩენებც მას მიდევნენ. მაგ. ფეოდალური წყობილების ვერც ერთი მხარე ვერ ვაქვებოდა ასე, რომ თელი წყობილება არ ვამქრალიყო. ისეთ მდგომარეობაშია კაპიტალიზმიც. როცა ბურჟუაზია მილიდრეს იძენს, პოლიტიკურ უფლებასაც ხელთ იგდებს. ეს პირველის შედეგია, მხოლოდ ამ ახალ-შემერთი ის, უფლებას ხმარობს ეკონომიურთ ვადორცხვისათვის. ამ სანთ ეკონომია ხდება მიზეზათ პოლიტიკის, პოლიტიკა კი ეკონომიის\*\*1. ამათ ახსნება ის ვარგებია, რომ დღეს მუშახალხი ასე თან-აწიწრეთ იბრძვის პოლიტიკური უფლებისათვის. მას სურს პოლიტიკური უფლების საშუალებით „ეკონომიური პირობები შეცვალოს“.

5) „მაგრამ თვით ეს ეკონომიური ურთიერთობა როგორ და რით იცვლება? ეს იცვლება თავის თავათ, აუცილებლათ და სტატიკურათ ხდება“. ამის სიტყვასამეე შეცლობამა ვანა სტატიკურის ის, რაც შეგნებთ არის გამოშუქებული? ამა თუ იმ საზოგადოებრივ ცვლილებისთვის ადამიანი შეგნებულათ მოქმედობს. ვისაც ვაყვს ზებუნი, ვინც აწარმოებს, ვაჭარობს, მაშინვე იყვანებს და ს. შეგნებულ მოქმედც არ არის? ვანა მას არა აქვს რაიმე მიზანი და ლტოლილება? ვანა ამით ის ცვლის და ავითარებს ნივთიერ ურთიერთობას? მეტყეით მათი მოღვეწეობა აუცილებელია, ამას მათი მოთხოვნილება მოითხოვსო. ეს ასეა, მაგ-

\*) მთ შორის ის უმთავრესი განსხვავებაა, რომ ევოლიუციონერი უარ-ჰყოფს რეკოლუციას, მაშინ რადექსც ევოლუციის დსკვნა რეკოლუციას (ბუნებაში და ისტორიაში).

\*\*1) ამ მოსახრებას ეწოდება დიადემტიკური შეხედულება, წინააღმდეგ მეტაფიზიკის, რომლის მესაფულობით, მიზეზი მუდამ მიზეზათ რჩება, შედეგი შედეგათ. უკანასკნელს არ აქვს გავლენა პირველზე, პირველი დამოუკიდებელია შუარისაგან. ამაზე იყო აშენებული მე XVIII ს. მატერიალიზმი. ამ მეტაფიზიკურ მატერიალიზმს წინააღმდეგება თანამედროვე დიადემტიკური მატერიალიზმი, რასც შედგომათ უწოდებენ ეკონომიურ მატერიალიზმს, ეს შედგომას, ჩვენ ვხსნამით ამ ტერმინს ამიტომ, რომ ჩვენს მუწელობაში უკვე შემოიტანეს, სიღო ამ ხსნის შედეგ ვისმართ მის ხმადიადსასქლს.

რამ აუცილებლობის ფარგალში შეგნება ცნობიერება არის მოთავსებული, ხოლო სტიქიასთან არაერთი კავშირი არ აქვს ამას. ეკონომიური ურთიერთობა — ეს ადამიანთა ურთიერთობაა. მაშასადამე ამ ურთიერთობაში ადამიანი დღესობის მიზანწილებობს. მას აქვს მიზანი და სახსარი მიზნის განსახორციელებლათ. აქ ის ცნობიერათ მოღვაწეობს. მისი მოღვაწეობა ერთიანათ აშენებულია იმ ეკონომიურ ურთიერთობაზე, რომელიც შევობს მისგან დამოუკიდებლათ მის ქვეყანაზე გაჩენამდს. მაგ. საშუალო საუკუნის მცხოვრების მიზანი იყო იქნებოდნ ფულის შექმნა, აღებ-მიცემობა და სხვა. ესენი განვითარდნ შემდეგ. მაშინ საჭირო იყო პური, ღვინო, პირუტყვი, ხალი და სხვ. თუ ეს ჰქონდა, ფული ცალი კაპიტიცი რომ არ ჰქონებოდა, მაინც მდიდარი იყო. დღეს ყველა ესენი რომ გქონდეს, თუ ფული არ გაქვს, ღარიბი ხარ. დღევანდელი მიზანი ფულია: შეტრუნდა ეკონომიური ურთიერთობა. ამ გვართ, ადამიანი მოქმედობს შეგნებულათ თავის მიზნის მისაღწევათ. ეს მიზანი პირდაპირი შედეგია

თანამედროვე ეკონომიური პირობების, ხოლო ამ მიზანთა განხორციელებას ვეღვენა აქვს მათ მიზეზზე და იცელება ეკონომიური წყობილება. მიზეზი და შედეგი ვადამბულ-ვადამბულია. ახლა ეკოთხოთ, რატომ ადამიანთა მოქმედება ერთ დროს არღვევს ძველ წყობილებას და მეორე დროს კი არა? რატომ ვითარდება ეკონომიური ურთიერთობა? ბნ ფნას აზრით დაღექტური (ეკონომიური) მატერიალიზმი ამას ასე წყვეტს: „ეს ცვლილება თავისთავთ ხდება“. ცხადია, ავტორს არაერთი წარმოდგენა არ ჰქონებია ამ საგნის შესახებ. ის შეგნება მოძღვრების დედა ძარღვს, უმთავრეს მუხლს და აქაც ფეხი წაუბრაკება, თავისი აზრი მოწინააღმდეგეს აზრათ მიუღია, მართლაც, რატომ ხდება ეს ცვლილება, რატომ ვითარდება ისტორია, კაცობრიობა, რთულდება საზოგადოება? დიალექტიური მატერიალიზმი ამაზე ასეთ პასუხს იძლევა: კაცმა თავის საცხოვრებლათ და მოღვაწის გასაგრძელებლათ უნდა შეებრძოლოს გარემო ბუნებას და რაიმე ნაყოფი გამოიტაცოს. რადგანაც ყველა ამავე ბუნებას ებრძვის, ცხადია ადამიანთა შორის ვარდება ქიშპობა, მოცილოება, ბრძოლა არსებობისთვის, ამგვართ ჩვენ გვაქვს: ბრძოლა ბუნებასთან და შემდეგ ბრძოლა ადამიანთან. რით უნდა იბრძოლოს ადამიანმა? თავისი ბუნებრივი იარაღებით: ხელებით, ფეხებით, ქეანებთ, კბილებით, და სხვა? ამ შემთხვევაში ბრძოლა იქნებოდა ბუნებრივი და საზოგადოებაც დარჩენის კანონს დაქვემდებარებოდა. ბუნებრივი შერჩევაში, მძლავრის, ღონიერის გადარჩენა, რასაც ცხოველთა განვითარება

ემორჩილება, საზოგადოებაც პირველ ალავს დაქვერდა. ისტორიული ცხოვრების მაგერ გვექნებოდა ზილოლოგიური. მაგრამ, როგორც ვიცით, ადამიანთა ცხოველებზე მალა აიწია, მათთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა და ბუნება, სრულიად თუ არა, საკმარისად დაიპოვნა. რატომ? რის საშუალებით? მეორე მხრით ადამიანთა ერთი ჯგუფი თავს ესხმის მეორე ჯგუფს. მას ამარცხებს, სპობს და მის ალავს იჭერს. გამარჯვებული ვითარდება. დამარცხებული სამუდამოთ ქრება. რატომ? რის საშუალებით? ბუნებრივი ორგანოების მოქცელების ეს შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანი მცესაც ვერ გაუძლებდა და გაპქებოდა. აშკარაა, მან უნდა შეიძინოს იმისთანა რამ, რაც მის მოპირდაპირეს არ აქვს. ეს არის ბრძოლის, ანუ შრომის იარაღი: შეილდი, ისარი, ცული, თოხი, ხალი და სხ. ერთი სიტყვით ყველა ის ხელოვნური იარაღები, რომელიც ცი ველოსაყენებელია ცხოვრებაში, აი, აქ ზილოლოგიური სოციოლოგიაში გამოვლევართ, ცხოველებისგან საზოგადოებაში. დარჩენის კანონებმა დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა. რომელი ხალხიც კარგი იარაღებით არის ბუჭრილი, ის ბატონია, ბრძოლაში, როგორც ბუნებასთან, აგრეთვე მის თანამგზავრთან გამარჯვებულია. რამდენათ ის ავითარებს შრომის იარაღებს ე. ი. სამაქმედო, საწარმოვო ძალას, იმდენათ თვითონ ვითარდება, ძველი წყობილება ირღვევა, ახალი მყარდება. მე-XIX საუკუნე იმითამ ასე განიჩევა ვავილო საუკუნოებისაგან, რომ აქ ისეთი იარაღები განვითარდნ, რაც წინთ არც კი მოსიხმრებიათ. მარქანები, რკინის გზები, ტელეფონ-ტელეგრაფები და სხ. და. სხ. აი, რამ შეძრა კაცობრიობა, დსცა ძველი ურთიერთობა და დეიდა საფუძვლათ ცივილიზაციას. აშარათ ისტორიული განვითარების საფუძველი საწარმოვო ძალის განვითარებაა. ევროპელის საწარმოვო ძალა მეთა, ვინეფ აზიელის, აზიელის მეთა, ვინეფ აფრიკელი მეთადრის, ამის კიდევ მეთა, ვინეფ ცხოველების. თვიონ ევროპაში პირველი ალავი უკავია ინკლისელს, მეორე ფრანგს; მესამე გერმანელს, უკანასკნელი რუსეთს და სათათრეთს. რამდენათ უკან ჩამარჩენილი ხალხიც თავის საწარმოვო ძალას ავითარებთ, იმდენათ ის ევროპიელდება, როგორც ცხოვრებით, ისე პოლიტიკური წყობილებით. ვისაც ევროპის წყობილება არ სურს, მან საწარმოვო ძალაც ღარ უნდა ვანავითაროს. ხოლო ამ შემთხვევაში ის ვარდება ჩინეთის მდგამარობაში, რომელიც იმყოფებულია პატარა იაპონიას ვმუდარაბს: ნუ მოამლავე, სული შემარჩინეო. ვისაც ცხოვრება სურს, ევროპის გზას უნდა დაადგეს, ვისაც არა და ჩინეთის. აი, დიალექტიური მატერიალიზმის დედა-ბოძი, რაც

ვერც ერთ კრიტიკოსს ვერ შეურყევეა. ბ-ნ ფხან-თვის ეს წყევლიადით ყოფილა გარემოცული, კრიტიკას კი ხელს კიდებს!\*)

წ. ჟორდანია

(შემადგო ქება)

\*) მოკვანუბნე მკითხველს, რომ ჩემი პირდაპირი მიზანი აქ დაილქურთა მატერიალიზმის პოპულარიზაცია არ არის. ამ საგანს იმდენი ვისვამ, რამდენადაც ეს საჭიროა. ნ. ფხანს წინადადებას ვასანძქავთ. რუსულის მსოდნე მკითხველს სამოკვანუბნით მივითითებ ერთ წიგნს, რომელიც ახლა ხანს დაბეჭდა რუსეთში. აქ ის

გაიკნობს კარლ-მარქსის ისტორიულ მთადგობას, ნ. Вельтов. «Къ вопросу о монистическомъ взглядѣ на Исторію». СПБ. 2 р. ц., აგრეთვე ჰეგელს წიგნს. П. Струве. «Критическія замѣтки къ вопросу объ экономическомъ развитіи Россіи». СПБ. ამ უკანასკნელი წიგნის ავტორის ერთი დიდი შეცდომა შეპირდა, ლისციის მომდგომადი გაცნობისა და ამატობის ცუდი, რეგრესიული მსარეები ჩნდომის დაუტოვება; აქებს გაპატონების, მისი როლსაცხვანამდვილი გაცნობელი მარქსისტი არც აქებს, არც ახვებს, ის მისში, როგორც უკვე მოკვანუბნე, ხელდას ირ მსარეს; პროგრესიულს და რეგრესიულს. როცა ესენი უმადლესათ განვიითარებამან, ერთბაშის უსწეოთენ და ინტრეკ თვით მოკვანუბნე.

### ს ვ ი მ ო ნ ხ ე ლ ი

(ისტორიული მოთხრობა)

#### VIII

შემადგო \*)



ვიმონის ხელში სამეფო სწრაფათ ძლიერდებოდა. ახლა ამის გავლენას ქვეშ იყო თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო. ხონთქარი თვალს აღვივებდა მეფეს. ბევრჯერ ცვადა ხელი შეეშალა იმისთვის, მაგრამ ტყუილათ: სვიმონის მოხერხებული ქვევა, იმის სიმხვევე, ქართველების მისდამი სიყვარული ატრუებდენ იმის იმედებს. ახლა კი, როცა სათაბაგო დაუახლოვდა სვიმონს, როცა კახელთმაც მფლობელი თვალთ შეხედეს იმას, ხონთქარი შეეფქარადა. მოისურვა ერთი დაკრით გაეჯიწყლებინა მეფის ამოდენა ამაგი შეკრინა ურიცხვი ლაშქარი და გამოგზავნა საქართველოში მამად-ფაშის წინამძღოლობით. მტერი თრიალეთზე წამოვიდა ქალაქ გორისაკენ.

ყვარყვარ ათაბაგს არ მოწონდა თავისი ძმის მანუხარის ქვევა, რადან გრძნობდა, რა შედეგი მოელოდა საათაბაგოსათვის მანუხარის მოყვრობას. ახლა ისარგებლა ოსმალეთის შემოსევეთ და იმით მიეხმრო. ეს კიდევ არაფერია: თითარ წვიდა დასავლეთ საქართველოს მფლობელებთან, დაუხატა იმათ, რა მოელოდათ, რადესაც სვიმონი უფრო გაძლიერდებოდა და მოიწევა მიმხრობოდენ ოსმალეთს სვიმონის წინამძღვე, ყვარყვარეს გაუფრდა სიტყვა: გიორგი იმერთა მეფე, გიორგი დადიანი, გიორგი გურიელი შეიკრიბენ თვანთ ჯარებით და წამოვიდენ, ეს კი იყო, ყვარყვარეს დიდი მეცადინეობა და ბევრი ღრე მოუწედა, სანამ დაითანხმებდა იმათ სალაშქროთ. რადგან დასავლეთ საქართველოში წარჩინებულეებს სურვლებით არ მოწონდათ ეს ომი, ამ მიზეზით დაივიანეს იმერთ და ვერ შეხედენ ოსმალებს სურამთან, როგორც განძრავა ჰქონდათ. თათრებმაც კი აღარ ნოუცადეს, გალაღებულეები მოდიოდენ წინ.

დაიძრა თუ არა ოსმალთა, სვიმონს დაწერილევით ცნობდა შოართვებს მამად-ფაშაზე და იმის ლაშქარზე. მეფემ შეკრინა უმთავრესი წარჩინებულეები, გამართა თათბირო.

— ჰეობს აბოავე მარდათ წვიდეთ და თავს დაეცხათ მამად-ფაშას მტკერის ვიწროებში. სანამ ქართლში არ შემოსულა. იმას რომ დაემარცხებთ, პარს ეიბრუნებთ და წინ შეხედებით იმერთ ლაშქარს ბძანა მეფემ.

— გაუბედავ, ბატონო მეფეე და ვერ დავეთანხმებით ამაზე: ძალიან კეთილი, თუ თათარი დავამარცხებთ და გავაქციებთ. მაგრამ პირველ შეტაკებაზე რომ ვერ გავაქციოთ? ბძოლო რომ გავძედდეს, ზურგდან იმერთი მოვესწრობიან, მაშინ ჩენნი ლაშქარი ორ ცეცხლ შუა მოყვება ესე ვარჯეთ ებეით ბძანებდა, რომ დაცლოთ ყველა დაბები, ყველა სოფლები მტკერის ხეობაში და გაიხიზნონ. ჩვენ მუხრანს გავამაროთ ბანაკი. გალაღებული ოსმალთ თავს დაეცხმის და დაილუპება კიდევ, შეპკალრა სახინობა.

— ეც ძლიერ კარგი, მაგრამ მტერი რომ პირდაპირი თბილისში ჩავიდეს? ჰკითხა არჩილმა.

— უფრო კარგი იქნება ჩენთების. მაგდენი ხალხი რომ თბილისს მიაწყდეს, ჩვენ ქალაქს შევკრავთ და მტერი სულ ცოტა ხანში ამოწყდება მიმართით. არც საუბრებელია, რომ გახალისებულმა ფაშამ ჩენნი ჯარი უომრათ დატოვოს და ციხეს შეეფეროს, მაშინ ხომ ამაო იქნება მთელი იმისი ლაშქრობა, მიუცე საჩინობა.

ბევრ რჩევას და ბაას შემდეგ საჩინოს აზრს დაადგენ. მხოლოთ მეფემ ბძანა, ხალხისათვის სახრისტა მიეცოთ გაბიზნის ღროს. ეს საქმე ჩაბაბრა თავის შევლის გიორგის, შეძლებაც მიჰცა დახმარებოდა ხიზანს.

მამად-ფაშა ჯერ ძალიან ფთხილათ მოდიოდა, თან კაცს კაცზე გაზივდა იმერთში მეშველის სათხიხველათ. მეფე, როცა ნახა, რომ წინ არავინ უხედებოდა, გახალისდა. სწრაფათ წამოვიდა. დაიჭრა სასურამი, აიღო გორი. იქ გაიგო მეფემ მუხრანში დაგასო და ვასწია იმისაკენ. გვიდა მტერს ქსნის შესართავ ზვეით და თითქმის დაუწყობელი ჯარით მიესია ქართველებს.

\*) იმ. „ავალი“ № 18.

ქართველებს ჯებრები ჰქონდათ გავლებული, ჩასაფრებულები იყვნენ. ჯერ სანგომბიდან აუტრებს სროლა, შეაფრებეს მოზღვავებული თათარი, მერე მწყობრათ დროსა გაფრიალებულები გამოადრენ რაზმი რაზმზე. მაჰმად-ფაშა არ მოვილადა ამას, როგორც გამოცდილმა სარდლმა, იგონა თავის სახეთითა ყოფა და რამდენჯერმე მთელი თავისი ურლოთი დავისა თავს ქართველებს, რომ სირაქეთი მაინც შეემუსრა იმათი ძალა, მაგრამ ქართველების რაზმები არ შეკრთენ, არ აირიენ და, თუმცა წელი ნაბოჯით, მაინც სულ წინ იწეოდნენ. მეტადრე დიდი მხნობა გამოიჩინა მთიელების ჯარმა: ის მთლათ რკინაში იჯდა, თათარი ისე ეხეთქებოდა იმას, როგორც ხალ კლდეს და ბოუნდებოდა უკან შემუსვრილ.

სვიმონი ახელმძღვანელებდა ლაშქარს. გამოცდილი თვლით ათვლიერებდა ბრძოლას. ბოლოს შენიშნა, რომ მაჰმად-ფაშამ თავისი ამოლით უკან დაიწია, ლაშქარს უკან მოექცა. ამავე დროს დიდი საშადისი შეიქნა ფაშის კარებთან, მეფე მიხვდა, რომ ფაშა გაქცევას აპირებდა; სწრაფათ შეაქურა და გააწყო ცხენოსანი ჯარი. როდესაც თვლიანზე მჯდომმა სვიმონ მეფემ გაუთამაშა წინ თავის ცხენოსან რაზმებს, ლაშქარმა აღტაცებული ყიფინა შექნა.

თათრის ლაშქარში ხმა გავრცელდა, მაჰმად-ფაშა ბრძოლიდან გავიდა. შეკრთა ოსმალი, ჯერ წელა დაიხია უკან. ამან გათამაშა მთიელები და წამოემართენ დაწნა ამოლებულები კიჟინით. თათრის ჯარმა იბრუნა პირი და თავზარდაცემული გაიქცა. სვიმონი ამ წუთს ელოდა; გამოვიდა ცხენოსანი ჯარით, დაიწყო მტრის კაფეა. გაქცეულ ბრბოს წინ მტკვარი დაუხვდა. თათარი გუნდ-გუნდით გადადიოდა წყალს. დიდძალი ოსმალი დილაუბა მტკვარში; უფრო მეტი ტყვეთ ჩაუტერდა ქართველებს. მთელი ოსმალოს ჯარის საკეებ-საშადისი ქართველებს დარჩათ.

თბილისის ციხისთაფმა ასან-ფაშამ იცოდა, რომ ამი უნდა მომადარიყო მუხრანში, სრული იმედი ჰქონდა მაჰმად-ფაშა გაიმარჯვებსა და უბძანა თავის ჯარსაც, მოქალაქეებსაც დირსეულათ დახვედრადენ გამარჯვებულებს. მაგრამ, როცა საღამო ხანზე მტკვარს დაიწყო დამხრჩელი ოსმალოს ზიდვა ჯერ თითო-ორილობოი, მერე გუნდ-გუნდით, მიხედნენ თბილელები, რაა თათრის ჯარს ხიფათი შემოთხვა. ზედატანებზე ქალაქის კარებს მიადგა მაჰმად-ფაშა გადაჩრჩნილი ხალხით და თბილისის ციხეს შეეფარა. მოვიდა გამარჯვებული სვიმონიც, ვარს შემოერტყა ქალაქს.

ხეშოეთემ რომ ოსმალო დაამარცხა და თბილისის ალყა შემოარტყა, იმერლები მაშინ გაღმორდნენ კორტხის, ქართლის შემოასიენ. აქ ვაიგეს, რომ გვიანლა იყო ოსმალების შევლა და უკან დაბრუნდნენ. ყვარყვარე ათაბაგს ამართ ჩაუწარა იმოღვნა ცუბამ.

სვიმონ მეფემ გადაწყვიტა უთუოთ ავლო ქალაქი. თითონ ახელმძღვანელებდა თბილისის ვარსემო მდგომ ჯარებს. კიდევ კარგა ხანს გაუმარჯდა

თბილისის ციხე, რადგან საგძალი დიდძალი ჰქონდათ შეზიდული. ბოლოს სახარლა შემოაკლდათ, მოქალაქეებს ალყლეება დაეტყოთ. მაშინ მაჰმად-ფაშამ და ასან ფაშამ გადაწყვიტეს შებრძოლებოდენ სვიმონს, გაეპათ იმისი ჯარი და საგძალი შეეცნათ ქალაქში. მეფემ იცოდა ქალაქის გაპირება, იცოდა უბრძოლველათ არ დაჰნებდებოდენ ოსმალები და თითონაც დიდს საშადისში იყო. თავისი კარგი მეფეს ოქროყანის ფერადობზე ჰქონდა გამართული, იქიდან ადევნებდა თვალს თბილისის ყველა მოძრაობას.

3. ბარბოკი  
(შედეგი იქნება)

შეცთომის გასწორება

ლეკსში „იბიდისს“ (იგაღი) № 18) შექდეგი	
გორაკტურული შეცთომება:	უნდა იყოს:
დაბეჭდილია:	მაჰმადის
მაჰმადის	სკვდის ჯარები
სკვდისა ჯარები	სამიოდ ქართულა გუეს.
საამოდ ქართულა გუეს	თიფლისს.
თიფლისს	

გორაკტორ-გამომცემელი ან ი. წყნეთლის.

ბანხხაღებანი

ქალაქის თვით გამგეობა ამით ახსნაღებს საყოველთაოთ, რომ ქ. თბილისში, თანხმით ცხენის ბაზრობის შესახებ დებულებისა, რომელიც არის დამტკიცებული კავკასიის მთავარ-მართლის მიერ, ცხენის ბაზრობა დაიწყება ხუთს მაისს 1895 წლისა და გაატანს 18 მაისამდე. ამიტომ ქალაქის გამგეობა უმოზირილესათ თხოვს მაზრების უფროსებს სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ, აერობონ მცხოვრებლებს ზემოთ აღნიშნული დრო ცხენის ბაზრის გახსნისა და მით ხელი შეუწყონ არ სასარგებლო ცხენების მოშენების საქმეს კავკასიაში.

(3—1)

ქალაქ თბილისის საბჭო ამით ახსნაღებს საყოველთაოთ, რომ თბილისის გუბერნატორმა 13 აპრილს 1895 წელს დაბატკიცა ტაქსა, რომლითაც თბილისის რკინის გზის სადგურიდან ქალაქში წამომსვლელნი ეტლში გადაინდიან სამ აბაზს, თხოთმეტი მუურის მაციერთ, რომელიც დღემდინ ერთმეოდათ.

(3—2)